



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 204

ქალაქი ქუთაისი 28 ოქტომბერი 2015 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ააიპ „სპეციალური სერვისების“ დირექტორის 20.10.2015 წლის №10648/01 მომართვის შესაბამისად:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურღულიას, ააიპ „სპეციალური სერვისებისათვის“ /ს/ნ412704612/, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დანართში ჩამოთვლილი ქონების სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

**მუხლი 2.** უსასყიდლო უზუფრუქტით სარგებლობის ვადა განისაზღვროს ააიპ „სპეციალური სერვისების“ /ს/ნ412704612/ არსებობის ვადით.

**მუხლი 3.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურღულიამ უზრუნველყოს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

**მუხლი 4.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 5.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 6.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ააიპ „სპეციალური სერვისებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით,  
უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადასაცემი  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული  
ქონების ჩამონათვალი

№	მისამართი	შენობის ფართობი	მიწის ფართობი	საკადასტრო კოდი №
1.	რუსთაველის გამზირი №2	35.06 კვ.მ.	57.0 კვ.მ.	03.03.21.351
2.	ჯავახიშვილის ქუჩა №34ა-ს მიმდებარედ	31.38 კვ.მ.	127.0 კვ.მ.	03.01.22.125
3.	ავტომშენბლის ქუჩა	32.35 კვ.მ.	64.0 კვ.მ.	03.01.21.284

საკრებულოს თავმჯდომარის  
მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია